დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის №240, 2021 წლის 26 იანვრის № 321, 2021 წლის 26 იანვრის №321, 2021 წლის 01 მარტის №1376 , 2021 წლის 21 დეკემბრის №14994, 2021 წლის 28 დეკემბრის №15394, 2022 წლის 29 ნოემბრის №139452, 2023 წლის 29 მაისის №16703 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი 3

მუხლი 3. აკადემიური, და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები3

მუხლი 4. სასწავლო კურსებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა და აკადემიური პერსონალისთვის დაშვებული ჩასატარებელი აკადემიური საათების მაქსიმალური რაოდენობა 4

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გამოთვლა 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია გამოიყენება ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მიზნით.

2. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ფაკულტეტების, კერძოდ, კი, ფაკულტეტის დეკანებისა და პროგრამის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით.

მუხლი 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი

1. საგანმანათლებლო პროგრამებზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;

ბ) ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე სემესტრის განმავლობაში კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათების რაოდენობა;

დ) აკადემიური პერსონალის მიერ ჩასატარებელი საათების მაქსიმალური დაშვებული რაოდენობა;

ე) ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები (პროცენტულად დადგენილი მინიმალური მოთხოვნები და მაქსიმალური დაშვებები).

მუხლი 3. აკადემიურიდა მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები

აკადემიური დამოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (ყველა საფეხურზე) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე ჩასატარებელი საათების მინიმუმ 51%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი და შესაბამისად, მაქსიმუმ 49%-ს - მოწვეული პერსონალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროგრამის სპეციფიკა შესაძლოა საჭიროებდეს განსხვავებულ თანაფარდობას. ამ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულია მინიმუმ 40%.

ბ) აკადემიური პერსონალის მინიმალური დაშვებული რაოდენობით პროგრამის უზრუნველყოფის შემდეგ შესაძლებელია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი. არ არის დაშვებული პროგრამა განხორციელდეს მხოლოდ აკადემიური პერსონალის მიერ. შესაბამისად, სავალდებულოა პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს მოწვეული სპეციალისტებიც.

მუხლი **4.** სასწავლო კურსებზე დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა და აკადემიური პერსონალისთვის დაშვებული ჩასატარებელი აკადემიური საათების მაქსიმალური რაოდენობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე ჯგუფებში დაშვებულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სასწავლო კურსების სპეციფიკა.

ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაშვებულია:

ა) სასწავლო კურსებზე ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა: სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 75 სტუდენტი; სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილზე - მაქსიმუმ 25 სტუდენტი; ლაბორატორიულ მეცადინეობაზე/მუშაობაზე - მაქსიმუმ 12 სტუდენტი. სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე: სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 75 სტუდენტი; სამუშაო ჯგუფში მუშაობაზე/პრაქტიკულ მეცადინეობაზე - 22 სტუდენტი; ლაბორატორიულ მეცადინეობაზე/მუშაობაზე - მაქსიმუმ 11 სტუდენტი. მედიცინის ფაკულტეტზე: დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანთლებლო პროგრამების შემთხვევაში I, II, III სასწავლო წელს, საბაზისო სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 100 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე - მაქსიმუმ 22 სტუდენტი; დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში IV, V, VI სასწავლო წელს, ხოლო სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში IV, V სასწავლო წელს კლინიკური სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 100 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე - მაქსიმუმ 11 სტუდენტი; სიმულაციურ ცენტრში პრაქტიკული მუშაობისას - მაქსიმუმ 11 სტუდენტი;

ბ) უცხო ენების სასწავლო კურსების შემთხვევაში, ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა - 22 სტუდენტი.

2. აკადემიური პერსონალის სემესტრული სასწავლო დატვირთვა:

- პროფესორი - სემესტრში მაქსიმუმ 270 საათი (კვირაში საშუალოდ 18 აკადემიური საათი);
- ასოცირებული პროფესორი - სემესტრში მაქსიმუმ 315 საათი (კვირაში საშუალოდ 21 აკადემიური საათი);
- ასისტენტ-პროფესორი - სემესტრში მაქსიმუმ 360 საათი (კვირაში საშუალოდ 24 აკადემიური საათი);

- ასისტენტი - სემესტრში მაქსიმუმ 360 საათი (კვირაში საშუალოდ 24 აკადემიური საათი (პრაქტიკული / ჯგუფში მუშაობის საათები და ა.შ.).

მუხლი **5.** საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გამოთვლა

1. ზემოაღნიშნული დაშვებების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მინიმალური / მაქსიმალური დაშვებული რაოდენობები გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\textit{აკადემიური პერსონალის მინიმალური დაშვებული რაოდენობა} = \frac{\left[L\left(\frac{X\ st}{L\ st}/n\right) + P\left(\frac{X\ st}{P\ st}/n\right)\right] * 0.51}{H\ ac}$$

სადაც,

L – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო საათების რაოდენობა [1]

P – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი პრაქტიკული მეცადინეობების საათების რაოდენობა [2]

X st – საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული (აქტიური სტატუსის მქონე) სტუდენტების რაოდენობა

L st – სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა

P st – სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა

H ac - აკადემიური პერსონალისთვის კვირაში დაშვებული საათების მაქსიმალური საშუალო რაოდენობა[3]

n - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობა.

---

[1] *ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი სალექციო საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული შედეგებიდან ვიღებთ უდიდესს.*

[2] *ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი პრაქტიკული საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული შედეგებიდან ვიღებთ უდიდესს.*

[3] *წინამდებარე დოკუმენტის 4.2 ქვეპუნქტში აკადემიური პერსონალისთვის კვირაში დაშვებული საათების რაოდენობის საშუალო არითმეტიკული.*

შენიშვნა:

1. ფორმულაში თანაფარდობები $\left(\frac{X\ st}{L\ st}\right)$ *და* $\left(\frac{X\ st}{P\ st}\right)$ *მრგვალდება ყოველთვის მეტობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.1, შედეგი დამრგვალდება 2-მდე). მეტობით მრგვალდება თანაფარდობით მიღებული შედეგის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობაზე განაყოფიც.*

2. თანაფარდობები $\left(\frac{X\ st}{L\ st}\right)$ *და* $\left(\frac{X\ st}{P\ st}\right)$ *იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო წლების რაოდენობაზე, ერთ კურსზე არსებული ჯგუფების საშუალო რაოდენობის გამოსათვალელად, ხოლო კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული საათების სრული რაოდენობის გამოსათვლელად, საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული საათების რაოდენობა მრავლდება ერთ კურსზე არსებული ჯგუფების საშუალო რაოდენობაზე.*

მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის მინიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებული წესით დადგენილი სამიზნე ნიშნული ვრცელდება თეორიულ სასწავლო კურსებზე, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით აკადემიური პერსონალის მინიმალური დაშვებული რაოდენობა გამოითვლება საბაზისო სასწავლო კურსების სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათების გათვალისწინებით, მათ შორის ისეთი საბაზისო სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების, რომელიც ისწავლება ზედა კურსებზე.